ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4976404

ნომერი: AR1740067

თარიღი : 18.05.2020

გაცემის თარიღი : 08.06.2020

გაცნობის თარიღი : 08.06.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , 26 მაისის სახელობის მოედანი, N 1 , (ნაკვეთი 33/110);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა გიუნაშვილი პ/ნ 01005028298
- თბილისი სამტრედიის ქ. კორ. 5 ბ. 14

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _ განცხადებაზე წარმოდგენილია 2020 წლის პირველი თებერვლის არასაცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულება, ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად იგი დადებულია 5 წლის ვადით, აქედან გამომდინარე საჭიროა იჯარა დარეგისტრირდეს რეესტრში და შესაბამისი ცვლილება აისახოს ამონაწერში. გაითვალისწინეთ ერთ წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

წარმოდგენილ იქნეს რეესტრში რეგიტრირებული ყადაღის საფუძველი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 07.12.2014 წლის განჩინება, N12/7348-14. და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მხარის თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავირებით.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.